# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1-26

ქ. თბილისი 5. მარტი 2013.წ

ერთის მხრივ ქ.თბილისის №32-ე საჯარო სკოლა მისი დირექტორის ნანა ქაჯაიას სახით, (შემდგომში „შემკვეთი“) და მეორეს მხრივ -ი/მ „ნიკოლოზ გოგინაშვილი“ მისი დირექტორის ნიკოლოზ გოგინაშვილის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ურთიერთშეთანხმებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე;

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი ვალდებულებას კისრულობს, მიაწოდოს შავ-თეთრი კარტრიჯი, კარტრიჯების დამუხტვა, CPV30125100 ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და გადაიხადოს მომსახურების ღირებულება.

## 2. ხელშეკრულების ანგარიშსწორება და ვადები

2.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ერთდროულად შემსრულებლის მიერ ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად. ადახდა მოხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების წესით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში; მხარეები წინასწარ ათანხმებენ საქონლის ღირებულებას, რაც აისახება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში ან/და სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში.

2.2 შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება გაუწიოს შემკვეთს 2013 წლის 5. მარტიდან 2013 წლის 10. მარტამდე

2.3 ხელშეკრულება მოქმედებს 2013 წლის 5 მარტიდან 2013 წლის 10. მარტამდე

2.4 მხარეთა შეთანხმებით მომსახურბის ღირებულებაა 34 (ოცდათოთხმეტი) ლარი.

## 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1 დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2 მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულაბით განსაზღვრულ ვადებში;

3.2 შემკვეთის უფლებები:

3.2.1 შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2 მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3.3 შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1 სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება:

3.3.2 პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4 შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1 მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.2 მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

## 4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2 შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, შემრულებელი უფლებამოსილია პირგასამტეხლოს სახით დააკისროს შემკვეთს ვადაზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.4 პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2 ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

## 6. ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებით;

6.2 ფორს-მაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექნიკური, ტექნოგენური, კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადიწევა ფორს-მაჟორის ვადით.

## 7. დავების გადაწყვეტა

7.1 მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2 თუ ასეთი ვერ მოხერხდა, დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

## 8. საერთო პირობები

8.1 საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ორივე ეგზემპლიარს აქვს ერთნაირი ძალა.

## 9. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები.

ი/მ „ნიკოლოზ გოგინაშვილი"
თბილისი ჩიტაიას №18
ს.ს „პროგრეს ბანკი"
ს/კოდი 01030022840
ა/ა #GE79PG0000001002802766
ბ/კოდი PRSGGE22

შემსრულებელი

ნ. გოგინაშვილი ---------------------------

ქ.თბილისის №32-ე საჯარო სკოლა
ჩარგლის ქ. №24 61-23-53.
ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა №GE15LB0121114092264000
ბ/კ LBRTGE22

შემკვეთი

ნ. ქაჯაია ---------------------------

# მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 5 „მარტი“ 2013წ

ერთის მხრივ ქ. თბილისის №32 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ნანა ქაჯაიას სახით (შემდგომში შემკვეთი) და მეორეს მხრივ ი/მ „ნიკოლოზ გოგინაშვილი“ მისი დირექტორის ნიკოლოზ გოგინაშვილის (შემდგომში შემსრულებელი) ვადასტურებთ, რომ „შემსრულებელმა“ ჩააბარა ხოლო „შემკვეთმა“ ჩაიბარა 5.03.2013. ინვოისით გაწერილი სამუშაო **CPV30125100** ღირებულებით 34.0 (ოცდათოთხმეტი) ლარი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით

„შემკვეთი“ /ნ. ქაჯაია/ ____________________

ბეჭედი

„შემსრულებელი“ /ნ. გოგინაშვილი/ ____________________

ბეჭედი